პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 იანვარი, კვირა, 1989 წ.
№ 15 (9934) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

შეხვედრა საკავშირო სპორტსახკომში

სსრ კავშირის სპორტსახკომში ჩატარდა მორიგი ბრიფინგი, რომელზეც ჟურნალისტებს შეხვდა საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. კოლესოვი. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ჩატარდება გაიხად კეთილი ნების თამაშები (გაიმართება სიეტლში 20 ივლისს-ა აგვისტოს).

თამაშების პროგრამაში შეტანილია სპორტის 21 სახეობა. შეჯიბრებაში საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენების გარდა გამოვლენ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც. ყველაზე ბევრი მონაწილე ტრადიციულად მძლეოსნობას ეყოლება. აქ ახპარეზობა მოეწყობა სრული ოლიმპიური პროგრამით. კეთილი ნების თამაშები, სავსებით სამართლიანად, შეიძლება მივიჩნიოთ, მომავალი წლის მთავარ სპორტულ ღონისძიებად.

ამერიკული სპორტული ორგანიზაციები თავიანთ წარმომადგენლების გამოსვლებზე გარკვეულ იმედებს ამყარებენ. თამაშების პარალელურად დაგეგმილია ფართო კულტურული პროგრამა.

შემდეგ ა. კოლესოვმა ილაპარაკა ბარსელონის ოლიმპიადისათვის მზადების კომპლექსური პროგრამის ზოგიერთ საკითხზე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ დიდი ყურადღება მიექცევა წამყვან სპორტსმენთა წვრთნის დეცენტრალიზაციას. რესპუბლიკებში საამისოდ კარგი პირობებია შექმნილი, მით უმეტეს, რომ ბევრ სპორტსმენს ურჩევნია ვარჯიშის დიდი ნაწილი შინ ჩაატაროს.

საბჭოთა ფეხბურთელების იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების შესახებ ინფორმაცია ნ. სიმონიანმა გააკეთა. ჟურნალისტებს გააცნეს, აგრეთვე, საბჭოთა კავშირ-იტალიის ერთობლივი ხაჭადრაკო კრებულის პირველი ნომერი, რომელიც მოამზადა ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ“-ს რედაქციამ.

ახალი კლუბის მისამართია გორი

აღსრულდა გორელ მოჭადრაკეთა დიდი ხნის ოცნება. ამ დღეებში აქ გაიხსნა ლამაზად და გემოვნებით გაფორმებული საჭადრაკო კლუბი „მთიები“ (კლუბის პრეზიდენტია პარტიის საქალაქო კომიტეტის სახალხო კონტროლის თავმჯდომარე ლეილა კიკნაძე). კლუბის გახსნას ესწრებოდნენ სტუმრები — დიდოსტატები და ოსტატები, სპეციალისტები თბილისიდან.

საზეიმო მიტინგის შემდეგ ნანა ალექსანდრიამ და ელიზბარ უბილავამ გამართეს ერთდროული თამაშის სეანსები. ახალი საჭადრაკო კლუბი დიდ წვლილს შეიტანს რესპუბლიკაში ამ უძველესი თამაშის შემდგომ განვითარებაში.

(„ლელოს“ საკ. კორ.).

სურათზე: ერთდროული [illegible] შის სეანსს ატარებს ნანა ალ[illegible] დრია.

ბ. ბალდასაროვის ფოტო.

უნიკალური ბიბლიოთეკა

ხარვეზებზე — საჯაროდ!

ყველა თავისთვის...

ანუ მძლეოსნობის ზოგიერთ პრობლემაზე

მძლეოსნობაში მოვარჯიშეთა რაოდენობა მათს ასაკობრივ ზრდასთან ერთად თანდათან მცირდება. ამას განაპირობებს საუკეთესოთა არჩევის სისტემა, რომელსაც სხვადასხვარად პირამიდას უწოდებენ.

მძლეოსანთა მთლიანი მასის ძალზე მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენენ სასკოლო ასაკის — 14-17 წლის სპორტსმენები. ამ ასაკში უკვე ნათლად არის გამოკვეთილი მოზარდის მონაცემები, რაც პერსპექტივის განჭვრეტის საშუალებას იძლევა როგორც თითოეული სპორტსმენის, ისე მთლიანი ნაკრებისთვის.

ზემოთქმულის შემდეგ აღბათ უკვე ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლე-მძლეოსანთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებს. მით უმეტეს, ასპარეზობა პრინციპული ხასიათისაა, იგი ტარდება მონათესავე ორგანიზაციებს — მძლეოსნობის სპორტსკოლებს შორის და ყველა ცდილობს აქ მიღწეული წარმატებით დაამტკიცოს, რომ სხვებზე უკეთესად მუშაობს.

ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში ჩატარდა მძლეოსნობის სპორტსკოლების ზამთრის რესპუბლიკური პირველობა 1972-1973 და 1974-1975 წლებში დაბადებული სპორტსმენებისთვის. წინდაწინ უნდა ვთქვათ, რომ უამინდობის გამო შეჯიბრებაზე ვერ ჩამოვიდნენ დასავლეთ საქართველოს რეგიონების გუნდები, მაგრამ, თუ მონაწილეთა სიმრავლეს გავითვალისწინებთ, მათი შედეგების ანალიზი მაინც საჭიროდ მიგვაჩნია.

მეორე მხრივ, ამ ანალიზს რა აზრი ეჭნება, როცა დეი ამ მძლეოსანთა შემდგომი მომზადება, —

იხ. მე-2 გვ.

ბოლგარეთს მთავრობის ჯილდო

მოსფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებისათვის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის ბრძანებულებით დები პოლგარები დაჯილდოვდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ვარსკვლავის ორდენით.

საქართველოს ჩემპიონატი ძიუდოში ქალთა შორის

რუსუდან კუპატაძე — **ნონა სუარიშვილი** — **მანანა ჭიღლაძე** — **ია ზღულაძე** — **ელზა გაბრიელიანი** — **ლელა ნებიერიძე** — **ნინო ჩუმაშვილი** — **ნათია აბუსელიძე**

ბოლოდროინდელ ოლიმპიადებზე ბევრ ინტერესს იბადებს ... ეროვნული ... ...

ყველა თავისთვის...

(დასასრული)

სკოლაში სწავლის ბოლო წლებში და განსაკუთრებით მისი დამთავრების შემდეგ, — გეგმაზომიერად არ წარიმართება. გვინდა ვთქვათ, რომ **ჩვენში გარკვეულ ეტაპებზე ირღვევა სპორტსმენის აღზრდის დასაბუთებული სისტემა,** რაც წინასწარ გამორიცხავს მიზანმიმართული მუშაობის შესაძლებლობას. ის ანალიზიც, ზემოთ რომ ვახსენეთ, ამ მიზანმიმართული საქმიანობის საფუძველი უნდა იყოს მძლეოსნობის მომზადების უფრო მაღალ საფეხურზე.

ამიტომ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეგვეცადოთ თვალი გავადევნოთ მძლეოსნის აღზრდის მთელ გზას და არა ერთ მონაკვეთს, თუმცა ბოლოს მაინც დავუბრუნდებით ზემოხსენებულ შეჯიბრებას და მოკლედ მის შედეგებზეც ვიტყვით.

ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ მძლეოსნებს სკოლის დამთავრების შემდეგ პრობლემები ექმნებათ შემდგომი დაოსტატების გზაზე, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თვითონ სპორტული სკოლების მუშაობაში ყველაფერი რიგზეა.

ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების მუშაობის მიზანს, აქვთ თუ არა მათ სპეციალიზებული სასწავლებლების სტატუსი, წარმოადგენს რეზერვის აღზრდა მოზრდილთა რესპუბლიკური ნაკრებისთვის, მაგრამ საოცარია, რომ ეს თითქმის არსად ფაქტობრივად არ არის დაკანონებული. აღნიშნული სკოლები, რომელთა უმრავლესობა განათლების სისტემას ეკუთვნის, ამ სამინისტროს საკავშირო დებულების მიხედვით მოქმედებენ. ამ დებულებებში სიტყვაც არ არის ნახსენები მოზრდილთა ნაკრების შესახებ, რომელსაც სხვა უწყება — სპორტსახკომი ხელმძღვანელობს. სკოლების ხელმძღვანელები ასრულებენ თავიანთი უწყების დებულებას და თავს პირნათლად თვლიან. მათ უფრო მაღალი კვალიფიკაციის მძლეოსანთა მომზადების გეგმასაც გარეგან არავინ აძლევს, საკუთარი ნების (და სინდისის) მიხედვით ადგენენ ამ გეგმებს, რომელთა შესრულებას, ალბათ უკვე მიხვდით, ხშირ შემთხვევაში დიდი ჯაფა არ სჭირდება.

იერიდიულად ისინი მართალნი არიან. ბევრ სპორტსკოლას საკუთარი დებულება არ ავალდებულებს, რომ მოამზადონ პირველთანრიგოსნები, უმაღლესი ოსტატობის რესპუბლიკურ სკოლაში კი, რომელიც მძლეოსანთა აღზრდის შემდგომი საფეხურია, მხოლოდ პირველთანრიგოსნები და უფრო მაღალი რანგის სპორტსმენები მიიღებიან. რასაკვირველია, ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების ხელმძღვანელებს სურვილი აქვთ და ცდილობენ კიდეც, რაც შეიძლება მეტი მძლეოსანი მოზდეს დაოსტატების ჯგუფებში, მაგრამ სურვილი ერთია, ვალდებულება კი — სხვა.

თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში არის ერთადერთი სკოლა, რომელსაც ასეთი ოფიციალური დავალება აქვს. ლაპარაკია თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს მძლეოსნობის სპეციალიზებულ სკოლაზე. მას ოლიმპიური რეზერვის სტატუსი აქვს და ამიტომ ვალდებულია ყოველწლიურად 10-12 პირველთანრიგოსანი მოუმზადოს უმაღლესი ოსტატობის სკოლას. სხვა მონათესავე დაწესებულებებისგან მისი განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ თანამშრომლებს 15 პროცენტით გაეზარდათ ხელფასი და დაახლოებით ამდენივე მიემატა სკოლის არც ისე მდიდარ ბიუჯეტს.

სხვა სკოლებს ეს სტატუსი არა აქვთ და არც სურთ ჰქონდეთ: იმ 15 პროცენტს როგორმე შეელევიან, სამაგიეროდ კი საკმაოდ მძიმე ვალდებულებას აიცილებენ. **მხოლოდ დებულების მიხედვით მუშაობას კი ის მოსდევს, რომ სხვადასხვა რეგიონების მძლეოსნური სკოლები, რომელთა კონტინგენტი 300-400 მოსწავლეს აღწევს, წლის განმავლობაში ზოგჯერ ერთ სპორტსმენსაც ვერ უზრდიან საქართველოს რომელიმე (ასაკის მიხედვით) ნაკრებს,** ე. ი. ფაქტობრივად „უქმ სვლაზე" მუშაობენ, მართალია, იქ ბევრია დაწყებითი მომზადების ჯგუფი, მაგრამ ასეთი „ნულოვანი ვარიანტი" არაფრით არ არის გამართლებული.

იქმნება პარადოქსული ვითარება: ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ნორმატივები დამამთავრებელი ასაკისათვის არ ემთხვევა უმაღლესი ოსტატობის რესპუბლიკურ სკოლაში ჩარიცხვის პირობებს, სადაც, წესის მიხედვით, უნდა გაგრძელოს მომზადება მძლეოსანმა. ამ თავისებურ ვაკუუმში „იკარგება" ბევრი სპორტსმენი, წყალში იყრება შრომა. ამასთან, მოზარდის შესაძლებლობების შესახებ „გადამცემი" და „მიმღები" სკოლების ხელმძღვანელებს შორის აზრთა სხვაობა იქმნება და არავინ არის, რომ მტკიცედ და მართალი გაარკვიოს. გადამწყვეტი სიტყვა, რასაკვირველია, უფრო მაღალი რანგის სკოლის ხელმძღვანელს ეკუთვნის. შარშან ამ სკოლაში მხოლოდ ათი მოზარდი ჩაირიცხა, უმნიშვნელო ნაწილი იმ რაოდენობისა, რაც მას სჭირდება.

ეს პრობლემა გადაჭრილი აქვს მხოლოდ ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებულ სპორტულ სკოლას, რომელიც პროფკავშირებს ეკუთვნის. იქ არის მძლეოსანთა უმაღლესი ოსტატობის ჯგუფებიც, ასე რომ, მოსწავლე-მძლეოსნების სხვებისთვის გადაცემა აღარ სჭირდებათ. ამდენად, სკოლა მეტად მნიშვნელოვანი რგოლია ჩვენი მძლეოსნობისათვის.

ამ სკოლის ისტორია თავისთავად მეტად საინტერესოა. იგი შეიქმნა სახელოვანი ქართველი მძლეოსნის დიმიტრი იოსელიანის თაოსნობით. მოგვიანებით სკოლას აუშენეს მძლეოსნობის სასახლე შესანიშნავი მანეჟით და კარგი დამზმარე შენობით, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ამ სახეობის წარმომადგენლებისთვის იყო განკუთვნილი.

სკოლისთვის ყოფა თანხა არ იხარჯება, მისთვის 420 ათასი მანეთია გამოყოფილი სხვადასხვა სახსრებიდან, მაგრამ პროფკავშირების სპორტულ სკოლებს საფრთხე ემუქრება: საკავშირო პროფსაბჭომ სპორტის საქართველოსათვის რესპუბლიკებს დაფინანსება დაკლო და ამიტომ შეიძლება ზოგიერთი სპორტული სკოლა, თუ არაფერი შეიცვალა, შედარებით მწირ ულუფაზე გადავიდეს...

გაკვირვებას იწვევს ჩვენი მძლეოსნობის სპორტსკოლების სტრუქტურული თავისებურებანი. **ხანდახან ვერც გაიგებ, რომელი სპორტსმენი რომელი უწყებისა თუ რეგიონის სახელს უნდა იცავდეს...** რესპუბლიკის ბევრ ქალაქში (სოხუმი, ბათუმი, რუსთავი, ქუთაისი, ცხინვალი) მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლები მუშაობს, სხვაგან (გარდაბანი, მახარაძე, ახალციხე, ფოთი, ზუგდიდი) — კომპლექსური სპორტსკოლები, სადაც მძლეოსანთა ჯგუფების რიცხვი დიდია, მაგრამ იმ ქალაქებში ჯგუფები ჰყავთ მძლეოსნობის მსხვილ რესპუბლიკურ სკოლებსაც, მაგალითად, რუსთავის სამ საუკეთესო სპეციალიზებულ პროფკავშირების სკოლა უზდის ხელფასს. ასეთი მდგომარეობაა ქუთაისშიც, სადაც რკინიგზის სპორტსკოლის რამდენიმე ჯგუფი მუშაობს.

და აი, როცა რესპუბლიკური შეჯიბრების დრო დგება, ასეთი ჯგუფების მოსწავლეები... საკუთარი ქალაქის გუნდების წინააღმდეგ გამოდიან. ტყუილად კი არ თქვა ერთმა უნარიანმა, რკინიგზის სპორტსკოლაში მომუშავე ქუთაისელმა მწვრთნელმა, გულით კი მინდა, რომ სხვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ავარჩიო მოწაფეები, მაგრამ მათი სკოლიდან განთავისუფლება შეჯიბრებისათვის ძალიან გაჭირდებაო.

ის მოსწავლეები სახალხო განათლების საქალაქო განყოფილებამ უნდა გაანთავისუფლოს, „ესე იგი, მან ამით მეტოქეები უნდა მოუმზადოს საკუთარ სპორტსკოლას... რომ იტყვიან, აქ კომენტარი ზედმეტია, მით უმეტეს, რომ ის განყოფილება კონკრეტულად საკუთარი ორგანიზაციის მუშაობისთვის აგებს პასუხს და არა მძლეოსნობის საერთო მდგომარეობისთვის.

ასეთი დუბლირება, უწყებრივი დაქსაქსულობა ხელს უშლის ამა თუ იმ ქალაქში საერთო მუშაობას მძლეოსნობის განვითარებისათვის, ერთსულოვნებას ადგილობრივ სპეციალისტთა შორის, კნინდება რეგიონის, როგორც მძლეოსანთა მომზადების ცენტრის მნიშვნელობა... ცხინვალში, როგორც უკვე ვთქვით, არის მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლა, მაგრამ მძლეოსანთა საკმაოდ ბევრი ჯგუფი ჰყავს ადგილობრივ კომპლექსურ სპორტულ სკოლასაც, ე. ი. იქ ერთ სახეობაში „ორხელისუფლებიანობაა" და ა. შ.

იქნებ უფრო გონივრული იყოს, რომ დიდმა რესპუბლიკურმა სკოლებმა თავიანთი ჯგუფები უფრო იმ რეგიონებში გახსნან, სადაც მძლეოსნური სკოლები არ არის? ამაზე ალბათ დიის დაფიქრება, ასეთი რაიონი ხომ საქართველოში 60-ზე მეტია. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ლაპარაკია სასკოლო ასაკის მძლეოსანთა ჯგუფებზე.

პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა თბილისში, ლენინის სახელობის სტადიონის ბაზაზე მოსწავლე მძლეოსანთა მომზადების ცენტრის ჩამოყალიბებისას. თავისთავად ეს მართლაც კარგი ნაბიჯია, მაგრამ საქმე ის არის, რომ სხვადასხვა რაიონებში შერჩეული ორმოცამდე მძლეოსანი (გლდანის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის სიებში ირიცხება, იგი უზრუნველყოფს მათ კვებით და საერთო საცხოვრებლის ხარჯსაც ისტუმრავს (ეს შენობა ზემოხსენებული სტადიონის გვერდით მდებარეობს). მაგრამ ამ ბავშვების სპორტული ფორმით უზრუნველყოფას და, რაც მთავარია, მათს მომზადებას, სახალხო განათლების. სამინისტროს მძლეოსნობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლა ხელმძღვანელობს, სკოლა-ინტერნატი კი უკვე აღარ ეკუთვნის განათლების სამინისტროს. ესე იგი, არ ჩანს ის ორგანიზაცია, რომელიც კონკრეტულად აგებდა პასუხს ამ მძლეოსანთა საბოლოო დაოსტატებისთვის.

ადრეული ასაკიდან მძლეოსანთა მომზადებაში სპორტსაზოგადოება „დინამო" შეფობას უწევს (არ ახდევინებს საკუთარი ბაზების იჯარის თანხას და ა. შ.) სახალხო განათლების სისტემის ზოგიერთ სპორტსკოლას და უწყებრივ შეჯიბრებებზე მათი მოსწავლეები გამოჰყავს თავისი გუნდის შემადგენლობაში.

საერთოდ, ნორჩ მძლეოსანთა მომზადებაში არ არსებობს ერთიანი ხაზი, მთლიანი გეგმა. ამასთან სპორტსმენებს ამზადებენ ამა თუ იმ კონკრეტული შეჯიბრებებისათვის (მაგალითად, სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის) და არა მათი საბოლოო დოსტატების მიზნით. გარდა ამისა, საკავშირო დებულებების ხშირად გაუმართლებელი და მეტისმეტად სწრაფად ცვლის პირობებში ზოგჯერ ესა თუ ის ასაკი — მძლეოსანთა მთელი თაობა — „უპატრონოდ" რჩება და ფაქტობრივად მთლიანად იკარგება დიდი სპორტისთვის.

აქ ალბათ გამოსავალი ის არის, რომ დიდი მნიშვნელობა არ მიექცეს ასეთ ლოკალურ შეჯიბრებებს, მაგრამ **სპორტსკოლის დირექტორმა რა ქნას, იგი ხელფასს იღებს ამ შეჯიბრებებისათვის გუნდის მოსამზადებლად და არა ოლიმპიური ჩემპიონების გაზრდისათვის.**

ჩვენ ამ წერილში მხოლოდ ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნური სპორტული სკოლების ზოგიერთ ორგანიზაციულ და სტრუქტურულ თავისებურებებს შევეხეთ, თუმცა არსებობს სხვა, საკმაოდ მტკივნეული პრობლემებიც, მაგალითად, მწვრთნელთა კვალიფიკაცია და მუშაობის ხარისხი, მათი შრომის ანაზღაურება და სხვა. ეს ცალკე სასაუბრო თემაა.

ზემოთქმულს ვუბრუნდებით. **საკმაოდ მწვავედ დგას მძლეოსანთა დოსტატების საკითხი სკოლის შემდგომ ეტაპზეც.** ბავშვთა და უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპორტული სკოლების შეუთანხმებელ მუშაობაზე ის ფაქტიც ნათლად მეტყველებს, რომ საქართველოს **ახალგაზრდულ ნაკრებში (1968-1971 წლებში დაბადებულნი), რომელიც საკავშირო თამაშებისათვის ემზადება, ჯერჯერობით მხოლოდ 32 მძლეოსანია ჩარიცხული, — ოთხ მეხამედი, რასაც დებულება ითვალისწინებს.** ასეთი გუნდის რა იმედი უნდა გქონდეს კაცს. თანაც, ნაკრების წევრთაგან სამი (!) სპორტსმენი დაბადებულია 1968 წელს, ცხრა — 1969 წელს, სხვები კი მათზე უმცროსები არიან. ვინც მძლეოსნობა იცის, ადვილად დაგიმტკიცებთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ წელს ამ ასაკის სპორტსმენთა შედეგებისთვის.

1968 წელს დაბადებულ მძლეოსანთა მწვავე დეფიციტი ნაწილობრივ გამოიწვია იმ მავნე მეთოდმა, რასაც არც ისე იშვიათად მიმართავდა ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტი. ალბათ ზოგს ახსოვს ის დიდი სკანდალი, რომელიც მოჰყვა საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების გამოსვლას ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში, სადაც სწორედ 1968 წელს დაბადებულნი და უმცროსები დაიშვებოდნენ. გუნდის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა რამდენიმე 1967 და 1966 წელს დაბადებულ მძლეოსანს საბუთებში ასაკი გადაუკეთეს და თამაშებში გამოიყვანეს, ისინი, ვისი ადგილიც უფროსებმა დაიკავეს, ცხადია, მაშინ აღარავის სჭირდებოდა. ახლა კი გახდნენ საჭირონი, მაგრამ მაშინ ამაზე არავინ ფიქრობდა.

ამ ვითარებაში ყველაზე ცუდი ის არის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა X სპარტაკიადაზე ფაქტობრივად ისევ ამათი იმედი უნდა გვქონდეს, ვინც ახლა რესპუბლიკის ახალგაზრდულ ნაკრებშია... დასკვნა თვითონვე გამოიტანეთ.

ზოგი შეიძლება სხვაგვარად ფიქრობს, მაგრამ მაია ახარაშვილის მონაწილეობა სეულის ოლიმპიურ თამაშებში, მისი გამოსვლა 200 მეტრზე ფინალურ გარბენში ფლორენს გრიფიტ-ჯოინერთან და სხვა ვარსკვლავებთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი მძლეოსნობისათვის. თუმცა **მაიას წარმატება უფრო სპორტსმენის ნიჭითა და სხვა გარემოებებით არის განპირობებული, ვიდრე ჩვენს მძლეოსნობაში მიმდინარე მუშაობით.**

ესეც ცალკე სალაპარაკო თემაა. ინერციას მივყვებით და ახლა მოზრდილ მძლეოსანთა ნაკრებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, უფრო იმ საკითხებს შევეხებით, რომლებიც პირველ ყოვლისა ხვდება თვალს.

უკიდურესად დაკნინებულია უფროსი მწვრთნელის „ინსტიტუტი", ე. ი. იმ სპეციალისტის ფუნქცია, რომელიც გეგმაზომიერად იმუშავებდა და ექნებოდა გრძელვადიანი სამოქმედო პროგრამა. ჩვენს მძლეოსანთა გუნდებში უფროსი მწვრთ-



ნელი ინიშნება „ერთი დღით"; მოახლოვდება რომელიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრება (მაგალითად, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა) და იწყება შესაფერისი კანდიდატურის ძებნა. ყველამ იცის, რომ ეს თანამდებობა ჩვენი მძლეოსნობის მდგომარეობის გამო ფაქტობრივად „განტევების ვაცის" როლს ჰპირდება სპეციალისტს. არის ერთი თხოვნა, უარი, დაპირება და ა. შ. მერე გამოჩნდება ვინმე უფრო მამაცი, იმუშავებს მომავალ შეჯიბრებამდე და, თუ იოლად გადარჩა (თუ მისმა გუნდმა სრული ფიასკო არ განიცადა), პირჯვარგადაწერილი თავის ძველ თანამდებობას უბრუნდება. ბევრ სხვა სახეობაში, რომელი ერთი ავიღოთ, უფროს მწვრთნელებად წლობით მუშაობენ სპეციალისტები და მყარი ავტორიტეტიც აქვთ, მძლეოსნობაში კი უფროს მწვრთნელს არც უფლებები აქვს, არც ავტორიტეტი.

ამ საკითხში უნდა ჩამოყალიბდეს სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს, უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სკოლისა და უფროსი მწვრთნელის უფლება-მოვალეობები.

საერთო ენა დიდი ხანია დაკარგეს ჩვენმა მძლეოსნობის სპეციალისტებმა, გაითმენენ. ზოგჯერ უკან ყველა დაუღალავად ლაპარაკობს სხვების არასწორ მუშაობაზე, მაგრამ საქმე ყველას გასაგონად თქმაზე რომ მიდგება, პირში წყალს ჩაიგუბებენ ხოლმე. არ არსებობს რაიმე ორგანო, მაგალითად, მწვრთნელთა საბჭო, სადაც ყველას ექნებოდა საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება. ამის გამო ბევრი საკითხი საერთო აზრის გაუთვალისწინებლად წყდება. ეს ბევრს აღიზიანებს, მაგრამ ისევ ბუზღუნსა და ხელის ჩაქნევას სჯერდებიან. ამასთან, **ბევრი სპეციალისტი თანამდებობრივ ორბიტაზე „წრიული მარშრუტით" მოძრაობს — ერთი და იგივე ხალხი, მუშაობის ერთი და იგივე მეთოდი და შედეგები.**

ფაქტობრივად, აღარ არსებობს მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია. რამდენიმე წლის წინ მის თავმჯდომარედ აირჩიეს სპეციალური სამონტაჟო სამმართველოს უფროსი გივი გამყრელიძე, რომელიც მზად იყო ბევრით დახმარებოდა მძლეოსნებს (და ნაწილობრივ, დაეხმარა კიდეც). ახალი მანქანის ამენებასაც კოსტროლობს, მაგრამ, რატომღაც, ზოგი მისი წინადადება უპასუხოდ დარჩა.

ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა ავტორიტეტული, ენერგიული სპეციალისტი ვლადიმერ სამსონაძე, მაგრამ მისი მრავალი საინტერესო წინადადება მძლეოსნობის სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებმა ასევე ყურად არ იღეს და კაცსაც გული გაუტყდა, თან მას ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაურთულდა...

ფედერაციის მოშლით გაუქმდა ერთადერთი მასობრივი ორგანო, რომელსაც ძალა შეხწევდა კოლექტიურად განეხილა ჩვენს მძლეოსნობაში შექმნილი მდგომარეობა. საერთო აზრი გამოეტანა და ერთობლივი წინადადებებიც მიეღო. ახლა კი. მდგომარეობას ისევ კერძო აზრი ბატონობს. მწვრთნელთა საბჭოც, წესით, ფედერაციასთან უნდა არსებობდეს, რატომ არ შეიძლებოდა მის ჩამოყალიბებაზე სპორტსახკომის მძლეოსნობის განყოფილებას ან თვითონ მწვრთნელებს ეზრუნათ? ეს ორგანო ხომ მათს ინტერესებსაც დაიცავდა და ზურგს უკან ლაპარაკიც საჭირო აღარ იქნებოდა. მარტო სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს ორისამი თანამშრომელი. ცხადია, ვერ შესძლებს უხელმძღვანელოს ჩვენი მძლეოსნობის საკმაოდ დიდსა და რთულ სისტემას, რომელიც ოთხასამდე მწვრთნელსა და ათეულ ათასობით სპორტსმენს აერთიანებს.

ბოლოს კი ვიტყვით, რომ ამ წერილს არც ყოვლისმომცველობის პრეტენზია აქვს და არც ეჭვმეტანელი ჭეშმარიტებისა. იგი მოსაზრებაა. ჩვენს სპეციალისტებს ვთხოვთ ჩათვალონ იგი წინადადებად, გამოგვეხმაურონ, მოგვაწოდონ თავიანთი მოსაზრებები.

ახლა კი გვინდა ისევ მძლეოსნობის სპორტსკოლების მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებას დავუბრუნდეთ. გუნდურ პირველობაში პირველ ჯგუფში აშკარა იყო საქართველოს პროფსაბჭოს სკოლის უპირატესობა, რომელშიც 594 მძლეოსანი ირიცხება. მეორე ადგილზე გავიდა სახალხო განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სკოლა (479 მოსწავლე), მესამეზე — თბილისის განათლების სამმართველოს სკოლა (351 მოსწავლე).

მეორე ჯგუფში ძალზე კარგ შედეგს მიაღწია თბილისის პროფკავშირების ახალშექმნილი სკოლის გუნდმა, რომელმაც დიდი უპირატესობით დაიკავა პირველი ადგილი. როგორც ყოველთვის, ახლაც წარმატებით გამოვიდნენ გარდაბნის რაიონის სპორტსკოლის მძლეოსნები.

ცალკეულ მონაწილეთა შედეგები, მართალია, არ იძლევა დიდი ოპტიმიზმის საფუძველს, მაგრამ რამდენიმე სახეობაში, მაგალითად, სპრინტში, გამოდიოდა ჯგუფი ახალგაზრდებისა, რომლებსაც მონდომების შემთხვევაში შეუძლიათ წარმატებებს მიაღწიონ. (ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეჯიბრება ფაქტობრივად განახევრებული იყო გუნდების ჩამოუსვლელობის გამო). გოგონებიდან, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ თბილისელები აიდა ტოროსიანი (მწვრთნელები მიხეილ მუდრიკი და ეკვენი საპრონოვი) და დიანა ხუბაშვილი (მარინე და დავით მელაძეები), რომლებიც უკვე ატარებენ სპორტის ოსტატობის კანდიდატის წოდებას, ამასთან, აიდა 1974 წელს არის დაბადებული და მან, ახლაც, მართლაც კარგი შედეგი აჩვენა 400-მეტრიან დისტანციაზე — 57,1. დიანა ხუბაშვილმა გაიმარჯვა 60 და 200 მეტრზე რბენაში. ყურადღებას იქცევს ადრეული 14 წლის გარდაბნელი მოსწავლის თეა ყარყარაშვილის შედეგი 3 კილომეტრზე სპორტულ სიარულში — 15.23,8.

ჭაბუკთა შორის შეიძლება აღვნიშნოთ იგორ ვორონოვის, ალექსანდრე დავით ჩუხრუკიძის გამარჯვება 60 და 200 მეტრზე რბენაში. ბირთვის კვრაში კარგი შედეგი აჩვენა კახა სუჯაშვილმა.

ბოლოს კი ერთი შენიშვნა გვაქვს შეჯიბრების ორგანიზატორების მიმართ: ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა სპორტსაც ეხება, ამიტომ საკვირველი იყო, რომ შეჯიბრების პრიზიორებს რუსულ ენაზე შევსებული სიგელები გადასცეს. სხვათა შორის, იგივე სურათი იყო საქართველოს ჩემპიონატზეც.

გიორგი ჩოჩიშვილი.

• • •

ახარეზობის ტექნიკურ შედეგებს „ლელოს" შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

თვითმფრინავის მოლოდინში...

იქნებ დროა, რომ სულის აღზრდაზეც ისევე ვიზრუნოთ, როგორც სხეულის აღზრდაზე?

ეს ფიქრები, რაღა თქმა უნდა, აეროპორტში არ მწვევია, ის, რის შესახებაც ახლა მინდა დავწერო, დარწმუნებული ვარ, თქვენც გაღელვებთ, მკითხველო, თუკი რაღაცით დაკავშირებული ხართ სპორტთან ან სპორტსმენებთან გაქვთ ურთიერთობა. მაგრამ იძულებითმა შეჩერებამ „თვითმფრინავის მოლოდინში საშუალება მომცა კიდევ ერთხელ დავფიქრებულიყავი ამ თემაზე.

რედაქციაში მოსული დეპეშის შინაარსი ლაკონიური იყო: „სასწრაფოდ გამოგზავნეთ კორესპონდენტი მინსკში!“ მოგზაურობა მეტად ნაყოფიერი გამოდგა: სტაიკის ოლიმპიურ ბაზაში, სულ რაღაც 20 კილომეტრის დაშორებით ბელორუსის დედაქალაქიდან, ტარდებოდა სპორტული პრესის მუშაკთა საკავშირო სემინარი დევიზით — „სპორტულ ჟურნალისტთა შემოქმედებითი ლაბორატორია: პრობლემები და ძიება“. მასთან, იგი ჩვენთვის მეტად სასიამოვნოც გახლდათ — 1988 წელს გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით, „ლელო“, ერთადერთი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკური გაზეთებიდან, საუკეთესოთა შორის დაასახელეს და სპორტულ ჟურნალისტთა საკავშირო ფედერაციის სპეციალური პრიზითაც დაჯილდოვეს. მასთან ერთად დაჯილდოვდნენ გაზეთები „პრავდა“ და „სოვეტსკი სპორტი“, ჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, საკავშირო და სსრ კავშირის სახტელერადიოკომიტეტის რედაქციები. მაგრამ ჯილდოს წამოღება გადაიდო — საფრენი ამინდის მოლოდინში სტაიკის ოლიმპიურ ბაზაში ათ დღეს მომიხდა გაჩერება. ამგვარად, ნებათ თუ უნებლიეთ, მეც უშუალო მოწმე და ერთგვარი მონაწილე გახლდი იმ ცხოვრებისა, რომლითაც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები საწვრთნელ შეკრებებზე ცხოვრობენ.

მაინც, როგორ ცხოვრობენ? არა მგონია საჭირო იყოს თავი შეგაწყინოთ მათი დამქანცველი, დღეში ორჯერადი ვარჯიშების დაწვრილებითი აღწერით, ანდა სპორტსმენის ჩვეულებრივი მენიუს კერძების ჩამოთვლით. სხვათა შორის, შეკრების ორი მონაწილისთვის, ერთნაირი თანრიგები და, შესაბამისად, ერთნაირი მიღწევები რომ აქვთ, მეგობრებიც რომ არიან და ერთი და იმავე რესპუბლიკის წარმომადგენლებიც კი, სასადილოში სხვადასხვა მენიუა გათვალისწინებული — იმის მიხედვით, რომელ საზოგადოებას ეკუთვნიან ისინი და რა სახსრების პატრონნია ეს საზოგადოება. თუმცა, კვება, ამ სიტყვის ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობით, სპორტსმენებს, მადლობა ღმერთს, არ აკლიათ.

აქ ლაპარაკია სხვა საკვებზე, სულიერ საზრდოზე.

ახალგაზრდა სპორტსმენები ხშირად წელიწადში 200 დღე მოწყვეტილა არიან ოჯახს, მოწყვეტილი არიან სწავლას (ვიყოთ გულახდილნი), მოწყვეტილი არიან ახლობელთა წრეს და მთელი ამ ხნის მანძილზე მათი გონება აქცენტირებულია მხოლოდ წვრთნაზე, დატვირთვის გაზრდაზე, ვადამწყვეტ ტყორცნაზე, ლამაზ პასზე თუ ოსტატურ ილეთზე ფიქრით. მაშ, ნუ ვიქნებით მათს მიმართ მკაცრნი. ისინი ჩვენგან საყვედურს არ იმსახურებენ და თუ დღეს სპორტულ წრეებში მაინც გვხვდება ინტელექტუალური მოუმწიფებლობის, სულიერი სიღარიბის მაგალითები, ეს, პირველ ყოვლისა, ჩვენი ბრალია. ამაში დამნაშავენი ვართ ჩვენ ყველანი — სპორტის მუშაკები თუ სპორტის გულშემატკივრები, დამნაშავეა ჩვენი პასიურობა, უყურადღებობა იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც ცხოვრების მთავარ მიზნად სპორტი აირჩიეს და იძულებული გახდნენ ყველა დანარჩენზე უარი ეთქვათ. საწვრთნელი შეკრებები, რომელთა სიხშირეც სპორტული ოსტატობისადმი პირდაპირ პროპორციულად მატულობს, უდიდესი დატვირთვაა ფიზიკური ძალისა. ეს შეკრებები ადამიანის ყველა საბრძოლო თვისების მობილიზებას მოითხოვს და, ამავე დროს, სპორტსმენს აიძულებს უარი თქვას ყველაფერზე, რითაც ცხოვრობენ მისი თანატოლები, უარი თქვას გართობაზე და ყოველგვარ სიამოვნებაზე, უარი თქვას სრულფასოვან სულიერ ცხოვრებაზე.

ჯერ კიდევ XVI საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი მიშელ მონტენი წერდა, რომ უნდა აღვზარდოთ არა მარტო სული და არა მარტო სხეული, არამედ ადამიანი მთლიანად. არ შეიძლება მისი ორად გაყოფა... არ შეიძლება სულისა და სხეულის ცალ-ცალკე აღზრდა, პირიქით, საჭიროა ვმართოთ ისინი და არ განვასხვაოთ ერთმანეთისგან, ისევე როგორც ერთ ხელნაში შებმული ცხენები...

მეტისმეტ სითამამედ ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ სპორტსმენებში ძალზე ხშირია მართლაც უნაკლოდ, საქმის ცოდნით აღზრდილი „სხეული“ და ხელუხლებელი, ახალშობილივით გაუწვრთნელი „სული“. ვჩქარობ დავძინო, რომ ეს სიტყვები, რაღა თქმა უნდა, არ ეხებათ დიდ სპორტსმენებს, დიდი სპორტსმენი მუდამ ნამდვილი პიროვნებაა და ამით ყველაფერია ნათქვამი. მაგრამ ასე გამორჩეული სპორტსმენები მხოლოდ ერთეულები ხდებიან, ასეთ ხვედრზე მეოცნებე ახალგაზრდები კი ათასობით არიან. მხოლოდ ფიზიკური მონაცემებით კი „დიდ სპორტში“ ვერაფერს მიაღწევ.

არსებობს სოციალისტურ და კაპიტალისტურ საზოგადოებებში თავისუფალი დროის გამოყენების შედარებითი სტატისტიკა. როგორც ირკვევა, ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდები კითხვას სამჯერ მეტ დროს უთმობენ, ვიდრე მათივე თანატოლები საფრანგეთში, ხუთჯერ მეტს — ვიდრე ამერიკელები, თითქმის ათჯერ მეტს — ვიდრე დასავლეთგერმანელები. მაგრამ ოდესმე ვინმემ მოაწყო სოციალური გამოკითხვა სპორტში სერიოზულად მომეცადინე ახალგაზრდებსა და მათს იმ თანატოლებს შორის, რომელთაც თავისუფალი დრო გაცილებითა მეტი აქვთ? და საერთოდ, ვიღიარებთ თუ არა, რომ სპორტი, ისევე როგორც ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სხვა რამ, მოითხოვს ცხოვრების სრულად გარკვეულ წესს — თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით?

იქნებ მე რაღაცაში ვცდები? იქნებ ძალიან სუბიექტური ვარ, როცა მხოლოდ საკუთარ ჟურნალისტურ გამოცდილებას ვეყრდნობი? მაშინ ვიკამათოთ! დამიმტკიცეთ, რომ კაცი, რომელიც ზუსტად დადგენილ დროს იღვიძებს, ზუსტად დადგენილ დროს ჭამს, ზუსტად დადგენილ დროს ვარჯიშობს, ზუსტად დადგენილ დროს უყურებს ტელევიზორს (იმიტომ, რომ მისთვის ეს არის ინფორმაციის მიღების ერთადერთი წყარო) და რეჟიმით მკაცრად განსაზღვრულ ზუსტად ერთსა და იმავე დროს იძინებს, რაღაც მანქანებით მაინც ახერხებს იკითხოს წიგნები, იაროს თეატრში, ერკვეოდეს ხელოვნებაში, ჰქონდეს მრავალმხრივი და ფართო ინტერესები. ან კიდევ, დამისახელეთ, ჩვენი განთქმული მწერლებიდან, არტისტებიდან, სხვა პროფესიის გამოჩენილი ადამიანებიდან ვისა აქვს რეგულარული ურთიერთობა სპორტსმენებთან, ვინ ეხმარება „ბალანსის“ დაცვაში, ვინ ... ურთიერთობაში, ვინ ეწევა მუშაობას მშვენიერების სამყაროში? კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ: ლაპარაკია არა საზეიმო, „ფანფარულ“ ურთიერთობაზე, არამედ ყოველდღიურ. სერიოზულ მუშაობაზე „სულის“ აღსაზრდელად. არის გარკვეული აზრი იმაში, რომ სპორტული ბაზები დაცულია გარეშე თვალისაგან. მაგრამ საჭიროა კი მათი „დაცვა“ იმ ადამიანებისგან, ვისთან ურთიერთობაც მხოლოდ სარგებლობას მოუტანდა სპორტსმენებს? იქნებ თვითონ სპორტის ხელმძღვანელი მუშაკები უნდა ისწრაფოდნენ ასეთი ურთიერთობისაკენ, იქნებ დროა, რომ „სულის“ აღზრდაზეც ისევე ვზრუნავდეთ, როგორც სხეულის აღზრდაზე?..

...სტაიკი ერთი ჩვეულებრივი სპორტული ბაზაა, რომლის მსგავსიც უამრავია ჩვენს ქვეყანაში. ქართველი სპორტსმენები, ისინი, ვისთან ერთადაც მე მომიხდა ყოფნა საწვრთნელ შეკრებზე, ჩვეულებრივი ბიჭები არიან, ჯერჯერობით არაფრით გამორჩეულნი. ოჯახსა და სახლს მოწყვეტილებს, მხოლოდ იშვიათად თუ მიეცემათ საშუალება ტელეფონში გაიგონონ მშობლებისა და ახლობლების ხმა. ზუსტად დადგენილ დროს დგებიან, ზუსტად დადგენილ დროს წვებიან და ვარჯიშობენ, ვარჯიშობენ, სანამ ქანცი გაუწყდებოდეთ. ვარჯიშობენ და ელიან, ელიან, რომ მოფრინდება მათი ბედის „თვითმფრინავი“, ამ დაუღალავი შრომისათვის, არჩეული მიზნის ასეთი ერთგულებისათვის მაღლიერების ნიშნად ფრთებზე შეისხამს და მაღლა, ცაში აიტაცებს...

მაგრამ „ვარსკვლავები“ მხოლოდ ერთეულები ხდებიან.

პეპი ბობოტრიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირზე

თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელთა მონაწილეობით დასავლეთ გერმანიის ქალაქ ზაარბრიუკენში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში. ჩვენმა გუნდმა იქ მეორე ადგილი დაიკავა, ტურნირის მთავარი პრიზი კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგმა“ მოიპოვა. საქინფორმის კორესპონდენტმა **შ. ფალოლაშვილმა** სთხოვა თბილისის პარტიორ ქალაქში ზაარბრიუკენში ყოფნის შთაბეჭდილებები გაეზიარებინა „დინამოს“ ვეტერანთა გუნდის მოთამაშე-მწვრთნელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს **გივი ნოდიას.**

— ვეტერანთა შეჯიბრებები ფრიად პოპულარული გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, — თქვა მან. — ასეთი ტურნირები მრავალ ქალაქში იმართება ბუნდესლიგის ჩემპიონატის ზამთრის არდადეგების დროს. ტრადიციული გახდა ზაარბრიუკენის ტურნირიც, რომლის ორგანიზატორები, როგორც წესი, გუნდებს ევროპის სხვა ქვეყნებიდანაც იწვევენ. ჩვენ ასეთი მიწვევა მივიღეთ შარშან და თითქმის მთელი თვე ვემზადებოდით შეჯიბრებისთვის.

სასიამოვნო სიურპრიზი იყო ის, რომ გულშემატკივართა და ორგანიზატორთა ყურადღებითა და ზრუნვით იყვნენ გარემოსილი ვეტერანი ფეხბურთელები: ტურნირის მონაწილეები დაგვბინავეს საუკეთესო სასტუმროებში, შეგვიქმნეს დასვენებისა და ვარჯიშის ყველა პირობა, გვქონდა საინტერესო შეხვედრები საზოგადოებრიობასთან, ექსკურსიები ღირსშესანიშნავ ადგილებში.

მინიფეხბურთის ტურნირი მიმდინარეობდა ზაარბრიუკენის სპორტის სასხლეში, რეგლამენტი ერთობ უჩვეულო იყო: თამაშები ქვეჯგუფებში შედგებოდა 2 შვიდწუთიანი ტაიმისაგან — მოთამაშეთა ასაკისა და მცირე დარბაზების სპეციფიკის გათვალისწინებით, მატჩები გამოირჩეოდა სიმწვავით, დინამიზმით. ტურნირში მონაწილე ათი გუნდი ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. დინამოელებმა პირველ ეტაპზე დაამარცხეს დასავლეთ გერმანიის გუნდები „ნაინკირჰენი“ — 4:0, „შტუტგარტი“ — 4:1 და ფრედ ითამაშეს „კიოლნთან“ — 2:2. მეოთხე შეხვედრას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „მაგდებურგთან“ უნდა გამოერკვია ფინალისტი. მეტოქეს ფრეც ხელს აძლევდა, მაგრამ დინამოელებმა თამაში დიდი აღმავლობით წარმართეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2.

მეორე ჯგუფში სხვებზე უკეთ გამოვიდა „ჰამბურგი“, მეორე ადგილი დაიკავა ზაარბრიუკენის ვეტერანთა გუნდმა.

ფინალში ვეთამაშეთ „ჰამბურგს“, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ახლო წარსულში ცნობილი ოსტატები, თბილისელი გულშემატკივრებისთვის ნაცნობი ფეხბურთელები — მაგატი, ბულიანი, მილევსკი, ნოგლი და სხვები. ვითამაშეთ 2 ათწუთიანი ტაიმი. მეტოქემ ორი ბურთი გაიტანა ჩვენს კარში (მილევსკი და ნოგლი), მაგრამ, მთლიანად, შედეგით კმაყოფილი ვართ, ის ხომ ჩვენი პირველი საერთაშორისო ტურნირი იყო.

დინამოელ ვეტერანთა კარს ჩინებულად იცავდა 49 წლის რამაზ ურუშაძე. წინ თამაშობდნენ მანუჩარ მაჩაიძე, რომელიც ჩვენს გუნდში 5 გატანილი ბურთით ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი გახდა, თამაზ კოსტავა — 2 ბურთი, ვახტანგ ქორიძე — 2, ლევან ნოდია, ვახტანგ კოპალეიშვილი, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, რომლებმაც თითო ბურთი გაიტანეს, აგრეთვე, რამაზ შენგელია.

სხვათა შორის, თვით გივი ნოდიასაც მოუწია ერთხელ ჩაბმულიყო თამაშში. მთავარი ფინალის წინ შედგა ამხანაგური შეხვედრა დასავლეთ გერმანიის კლუბების მწვრთნელების მიერ შექმნილ გუნდსა და ზაარის მხარის ვეტერანთა ნაკრებს შორის, რომლის ღირსებასაც ნოდია იცავდა. მისი გუნდი დამარცხდა ანგარიშით 2:5.

— ასეთ შეჯიბრებათა როლი ძალზე დიდია, — თქვა გივი ნოდიამ. — ეს ფეხბურთის შესანიშნავი პროპაგანდაც არის და სპორტში ვეტერანთა სიცოცხლის გახანგრძლივების კარგი საშუალებაც. მივიღეთ მომავალი წლის ტურნირში მონაწილეობის მიწვევაც. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობამ — საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. მახარაძემ და „დინამოს“ საქართველოს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კ. ასათიანმა, მასპინძლებს შესთავაზა მონაწილეობა მიიღონ ტურნირში, რომლის გამართვა დაგეგმილია თბილისში მიმდინარე წელს.

„დინამო“ იკრებს კლუბის ნევრებს

რედაქციაში განუწყვეტლივ მოდის დეპეშები და წერილები „ლელოსა“ და თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის სახელზე. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ფეხბურთის გულშემატკივრები, ცალკეული კოლექტივები ითხოვენ საფეხბურთო კლუბში წინასწარ გაწევრიანებას. ანგარიშის გამოქვეყნებისთანავე კი ისინი შეაბამის საწევროს შეიტანენ კლუბის ფონდში.

თავდაპირველად გაგაცნობთ დეპეშას ლანჩხუთიდან, რომელსაც ხელს აწერს სოფელ გვიმბალაურის კომეუურნეობის თავმჯდომარე ბადრი ქუთალეიშვილი: „სიხარულით შევხვდით ცნობას „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის შექმნის შესახებ და გთხოვთ გაგვაწევრიანოთ. კლუბს ჩავიორიცხავთ 1000 მანეთს. გარდა ამისა, გვიყავს ინდივიდუალური გაწევრიანების მსურველები“.

იმავე რაიონიდან: „მივესალმებით საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ შექმნას. ვიმედოვნებთ „დიდი „დინამოს“ პრესტიჟის დაბრუნებას. ჩვენი რესპუბლიკის უპირველესი გუნდის ძლიერება ქართული ფეხბურთის საერთო გამარჯვებაა. ამ რწმენით ლანჩხუთის აგროფირმა „ნარინჯის“ კოლექტივმა ერთსულოვნად გამოთქვა სურვილი გახდეს თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის წევრი და მხარდამჭერი. ველით თქვენს თანხმობას. გვჯერა თქვენი წარმატების და ჩვენი საყვარელი „გურიას“ წინსვლაში თქვენი გამოცდილების გაზიარების. ლანჩხუთის აგროფირმა „ნარინჯის“ შრომითი კოლექტივის სახელით ფირმის გენერალური დირექტორი მიხეილ შელუა“.

ახლა გაგაცნობთ იმათ სახელებს, ვინც სურვილი გამოთქვა გახდეს „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის ინდივიდუალური წევრი. ესენი არიან: ემზარ კვარცხავა (ბორჯომი), მამუკა სულამანიძე (სოფ. ბობოყვათი, ქობულეთი), გია ატუაშვილი (სოფ. შრომა, გურჯაანი), ბაკური ფიფია (ზუგდიდი), ვასილ გონაშვილი (სოფ. არბაშიკი, წოთელიწყარო), ლელა შონია, გოჩა მირცხულავა (ორივე —ცხაკაია). დიმიტრი გიორგაძე (ბათუმი), გია ბაციკაძე, ნუგზარ მერეაშვილი (ორივე —ცხინვალი), ელგუჯა მორჩილაძე (სოფ. ქვემო აკეთი, ლანჩხუთი), კახა ბახტაძე (წულუკიძე), თორნიკე ჭიღლაძე (საჩხერე), დათო გიორგაძე (სამტრედია), დ. მარჯანია, როინ ჯანაშია, ზურაბ ხარჩილავა (სამივე — სოხუმი), გია უანჩელი, ახმედ ქუმსიაშვილი, დავით შავიშვილი, ასლან ქუმსიაშვილი (ყველა — თბილისი), გ. ლომაია, საფეხბურთო კლუბის წევრი და მხარდამჭერი.

ამ ადამიანებს, ალბათ, ბევრ საფეხბურთო კლუბს, ბევრ ადამიანს ... ...

პირველი ნაბიჯები

(დასასრული)

იწვევს. იმედია, ეს დაინტერესება მალე საგრძნობ შედეგებსაც მოგვცემს, ოღონდ ჯერ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია გადასაწყვეტი. მაგალითად, მწვრთნელთა კვალიფიკაციის საკითხ. საქართველოში ძიუდოს ბევრი კარგი სპეციალისტი მუშაობს, მაგრამ ქალთა ჭიდაობას თავისი სპეციფიკა აქვს, რის უკეთ შესაცნობად ალბათ კარგი იქნებოდა, ხშირად ჩატარებულიყო სემინარები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და სხვა. მოკლედ, კიდევ ერთი საჭირო ბიძგი მისცემოდა ქალთა ძიუდოს განვითარებას.

საქართველოში უკვე რამდენჯერმე ჩატარდა ძიუდოისტ ქალთა შეჯიბრება, აი ჩემპიონატი კი პირველად მოეწყო. მონაწილეებს აშკარად ეტყობოდათ, რომ სპორტის ახალ სახეობას წარმოადგენდნენ, თუნდაც იმით, რომ თითქმის ყველანი იუნიორთა ასაკის ან უმცროსები იყვნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ მთავარი მსჯავრის მოვალეობას შესანიშნავად გაართვა თავი ოლიმპიურმა ჩემპიონმა შოთა ჩოჩიშვილმა. აღსანიშნავია აგრეთვე გორის ხელმძღვანელების, სპეციალისტების დიდი მხარდაჭერა, რომელიც მათ ჩემპიონატსა და მის მონაწილეებს გაუწიეს.

ილია თევდორაშვილი,
„ლელოს“ კორ.

ᲒᲘᲠᲕ — ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲒᲔᲚᲘ

48 კგ. 1. რუსუდან კუპატაძე (სავარეჯო); 2. ელენე ელიხაშვილი; 3. თამარ ჩანტლაძე და ტატიანა კლიმენკო (სამივე — თბილისი).

52 კგ. 1. ნონა სუარიშვილი (გორი); 2. რენა შავერდოვა; 3. ია ქარსანიძე (ორივე — თბილისი) და თამარ ვახტანგიშვილი (გორი).

56 კგ. 1. მანანა ჭიღლაძე (გორი); 2. ლიუდმილა ზნითაროვა; 3. თამარ მელაძე და იამზე გოგიძე (სამივე — თბილისი).

61 კგ. 1. ია ზღოლაძე; 2. ნონა აბუსელიძე (ორივე — თბილისი); 3. ნატალია ფიფია (სოხუმი) და ანგელინა გაბაიდულინა (თბილისი).

66 კგ. 1. ელზა გაბრიელიანი (თბილისი); 2. თამარ მიქელაძე (ბორჯომი); 3. თამარ ეჯიბაძე (თბილისი) და ტატიანა რასტუპინა (საგარეჯო).

72 კგ. 1. ლილა ნებიერიძე (თბილისი); 2. თამილა გოგიშელი (გორი); 3. მარინე ყალანდია (ქუთაისი) და გალინა ცხოვრებოვა (ცხინვალი).

მძიმე წონა. 1. ნინო ჩუმაშვილი (თბილისი); 2. ნინო მურადაშვილი; 3. დოდო დარსაძე და დოდო ცნობილაძე (სამივე — ქუთაისი).

აბსოლუტური. 1. ნონა აბუსელიძე (თბილისი); 2. თამილა გოგიშელი (გორი); 3. ნინო რუხაძე და ნინო მურადაშვილი (ორივე — ქუთაისი).

გუნდური: 1. თბილისი; 2. გორი; 3. ქუთაისი.

მარცხი, კიდევ მარცხი!

მატჩი რიგაში

რიგა. უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ვეფ-ი და თბილისის „დინამო“. პირველი ნახევარი მასპინძლების უმნიშვნელო უპირატესობით აღინიშნა, რაც ტაიმის ბოლოს 9 ქულამდე გაიზარდა — 49:40.

სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. ერთგვარ ინიციატივას მასპინძლები შესვენების შემდეგაც ფლობდნენ და საბოლოო ჯამში გამარჯვებასაც მიაღწიეს — 92:85. თბილისის „დინამომ“ მიმდინარე ჩემპიონატში მეთერთმეტე მარცხი განიცადა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 21 იანვრისთვის

ასკ (ალმა-ათა)	20	15	5	1932-1809	35
ცსკა	17	15	2	1687-1363	32
„დინამო“ (მოსკოვი)	20	11	9	1967-1919	31
„კალევი“ (ტალინი)	20	8	12	1689-1722	28
„სპარტაკი“ (ლენინგრ.)	20	6	14	1636-1748	26
„შახტიორი“ (დონეცკი)	20	6	14	1559-1734	26
ვეფ (რიგა)	22	4	18	1878-2190	26
„სტროიტელი“ (კოვი)	12	11	1	1177-1054	23
რტი (მინსკი)	16	7	9	1318-1345	23
„დინამო“ (თბილისი)	17	6	11	1454-1536	23
„სტატიბა“ (ვილნიუსი)	14	6	8	1287-1238	20
„უალგირისი“ (კაუნასი)	10	9	1	996-912	19

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐ“ — 17 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. „კონტრაქტის გარეშე“. გაზეთის საფეხბურთო მიმომხილველი ლევ ფილატოვი კვლავ უბრუნდება მოსკოვის „სპარტაკიდან“ ფეხბურთის ცნობილი მწვრთნელის კ. ბესკოვის წასვლის თემას.

20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. „ჰოკეი წესების გარეშე“. ბოლო დროს პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ძალზე გახმაურდა ვიქტორ ტიხონოვისა და ცსკა-ს მოთამაშეების — ფეტისოვისა და ლარიონოვის უთანხმოების ამბები.

„ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲬᲐᲘᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“ — 17 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. „სპორტი განსასჯელთა სკამზე?“ ბოლო ხანებში ბევრი იწერება სპორტსმენთა მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე. რა არის ეს — ცალკეული ფაქტები თუ...?

„ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“ — 16 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. „საჭიროა თუ არა საქადრაკო კავშირი?“ პოპულარული თამაშის ზოგიერთი პრობლემის შესახებ.

„ᲣᲙᲘᲗᲔᲚᲬᲐᲘᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲐ“ — 21 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. „...მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ“. ინტერვიუ მსოფლიოს ექ-ჩემპიონთან ჭადრაკში ანატოლი კარპოვთან.

„ᲡᲝᲕᲔᲗᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ“ — 15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. „საქმე № 159-ის საიდუმლო“. შეიძლება თუ არა დოპინგის მიღების ფაქტის დამალვა? ამ შეკითხვას პასუხობს ფრანგული ჟურნალი „სიანს ე ვი“.

19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. „ვინ დაეხმარება ადამიანს რეკორდებისკენ მიმავალ გზაზე...“ მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთდამოკიდებულება — ეს საკითხი სპორტშიც ისევე მწვავედ დგას, როგორც ცხოვრების სხვა სფეროებში.

18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. „ყველა ხერხი გამართლებულია?“ ვიქტორ ტიხონოვი — ფეტისოვისა და ლარიონოვის შესახებ.

21 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. „ფეხბურთის წინაშე ყველა თანასწორუფლებიანი ვართ“. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი თავის აზრს გამოთქვამს ოლიმპიური ტურნირისა და სამმაგლო ფეხბურთის მტკივნეული საკითხების თაობაზე.

— — — ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲪᲘᲐ — — —

ᲐᲡᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა საამოცანო კომბინაციამ ევროპასა და ამერიკაში განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია, ჩეხეთში ამობრწყინდა ახალი ვარსკვლავი — იოსებ პოსპიშილი (1861-1916). როგორც ისტორია მოგვითხრობს, საერთაშორისო კონკურსებზე მოპოვებული პრიზების რაოდენობით მას თანამემამულეთა შორის ბადალი არ ყავდა. ამასთან, დიდად გაათქვა სახელი როგორც ჩეხური საამოცანო სკოლის თეორეტიკოსმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი დიდი თეორიული წერილი, წამძღვარებული 1887 წელს გამოცემულ ჩეხი პრობლემისტების ამოცანების კრებულში.

ი. პოსპიშილი თვლიდა, რომ საჭადრაკო ამოცანა უნდა განიხილოს სამი სხვადასხვა მხრიდან: როგორც საჭადრაკო შემოქმედების პროდუქტი; როგორც ხელოვნების ნაწარმოები; როგორც ამოხსნის ობიექტი. შემოქმედებაში მკაფიო და გამორჩეული უნდა იყოს შინაარსი, რომელიც უნდა შეიცავდეს ტაქტიკურ მომენტებს, ორიგინალურ და უშეცდომო (ე. ი. ერთადერთ სწორ) ვარიანტებს. ამოცანა, როგორც ხელოვნების ნაწარმოები, მაშინ არის ესთეტიკურად სრულყოფილი, თუ შამათები სუფთაა, ხოლო მასალა — ეკონომიურად დაბეჭდილი (ყველა ფიგურა, განსაკუთრებით თეთრი, აქტიურად უნდა მონაწილეობდეს შამათში). მისი აზრით, ამოხსნას სიძნელის ელემენტები უნდა ჰქონდეს. ღრმა იდეა, შენიღბული მუქარა, მოულოდნელი და საინტერესო დაცვები დაფარული უნდა იყოს ამომხსნელისაგან და მთავარი ჩანაფიქრის აღმოჩენამ მას კმაყოფილება უნდა მოჰგვაროს.

როგორც იგი აღნიშნავდა, ამოცანის შედგენის და შეფასების ზემოთ განხილული პრინციპები ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა და მათ ყველა პრობლემისტი იზიარებს. ერთი რომელიმე ესთეტიკური კანონის უხეში უგულვებელყოფაც კი არღვევს ჰარმონიას და სპობს ამოცანას. მაგრამ, ბუნებრივია, შეიძლება მოხდეს ამა თუ იმ პრინციპის უპირატესად წარმოჩენა. მაშინ ამ პრინციპის კანონიზაცია ანუ შემოქმედების თვითმყოფადობის საფუძვლად მიჩნევა, რომელიმე საამოცანო სკოლის შექმნას იწვევს. მაგალითად, ინგლისელი და ამერიკელი პრობლემისტები თავის შემოქმედებას საფუძვლად უდებენ ამოხსნის საკმაო სიძნელეს, ორიგინალობას; გერმანელი ავტორები ისწრაფვიან ამოცანის უზადო კონსტრუქციისა და ღრმა შინაარსისაკენ; ხოლო ჩეხური სკოლის წარმომადგენლებისათვის მთავარია იდეალური სილამაზე, რომელიც პირველ რიგში რამდენიმევარიანტიან სუფთა და ამავე დროს ეკონომიურ (ანუ ერთობლივად სანიმუშოდ წოდებულ) შამათს გულისხმობს.

ერთი საუკუნის წინათ გამოთქმული ეს ზოგადი დებულებები ძირითადად დღესაც აქტიალურია საამოცანო კომბინაციაში და მათ კარგად უნდა იცნობდეს კომბინაციით დაინტერესებული ჩვენი მკითხველი. თვით ი. პოსპიშილი ბრწყინვალე ამოცანებს ადგენდა. განსაკუთრებით კარგად მოდავნდებოდა მისი ტექნიკური ოსტატობა თემატურ (ე. ი. სპეციალური დავალების) კონკურსებში. მოგვყავს მაშინდელი გერმანული გაზეთის („მიუნხენერ ნოიესტე ნახრიხტენ“) მიერ შემოთავაზებული თემა („ორი დიაგონალური შამათი თეთრი ლაზიერით მეფის სხვადასხვა ფერის ჯარის მდებარეობის დროს. დამშამათებელი ლაზიერი არ უნდა იდგეს უშუალოდ მეფესთან, ხოლო თეთრი მხედრები საშამათო პოზიციაში ოთხ ჯარას უნდა უტევდნენ“) და კონკურსში პირველი პრიზით აღნიშნული ნაწარმოები.

Ი. ᲞᲝᲡᲞᲘᲨᲘᲚᲘ, 1889



შამათი 8 სვლაში

თემატური ვარიანტები: 1. ლf1 (2. მ:c3+ მუქარით) მფc5 2. მ:c7 მფb6 3. ლg1×! და 1. ...მფe4 2. მc6! (3. d3× მუქარით) cd 3. ლb1×! მესამე სანიმუშო შამათი მიიღება 1. ...c6 სვლის შემდეგ — 2. ლe2 მფc5 3. მe6×.

ამოსახსნელად გთავაზობთ გამოჩენილი ლატვიელი პრობლემისტის კარლ ბეტინშის (1867-1942) სამსვლიან ამოცანას, რომელიც ასი წლის წინანდელ კონკურსზე საპატიო შეფასებით აღინიშნა. იმედია, მკითხველებს არ გაუჭირდებათ სამი სანიმუშო შამათის პოვნა.

კ. ᲑᲔᲢᲘᲜᲨᲘ, 1889

შამათი 3 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ჩვენი რესპუბლიკის მკითხველი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საზოგადოება „ცოდნის“ ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკას“, რომელსაც წელს არსებობის 40 წელი უსრულდება. 1971 წლიდან ჟურნალში რეგულარულად მოქმედებს რუბრიკა „ალისას კლუბი“, რომლის ინიციატივითაც საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნის უკვე 11 საახალწლო კონკურსი მოეწყო.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჟურნალის რედაქციამ პირველი საკავშირო კონკურსი გამოაცხადა **მინიატურული საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში.** ორიგინალური მინიატურები (შვიდი ან ნაკლები რაოდენობის ფიგურებისაგან შემდგარი ნაწარმოები) ავტორებმა უნდა გამოგზავნონ 2-2 ცალად (დიაგრამაზე დაწერილებითი ამოხსნით) შემდეგ მისამართზე: 380060, თბილისი, კუტუზოვის ქ. 19. „მეცნიერება და ტექნიკის“ რედაქცია; წარწერით „საჭადრაკო კონკურსი-40“. გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1989 წლის 1 ივნისი. გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფასიანი პრიზები. კონკურსს მსჯიდა საერთაშორისო არბიტრი **ვ. ნეიძე** (თბილისი).

ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ

„ლელოს“ გასული წლის 25 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი გ. ნადარეიშვილის ეტიუდი ამოხსნა მხოლოდ რამაზ გურულმა (ქ. საქარა, ზესტაფონის რ.); 1. ლe8+ მფd5 2. ლ:b8 მფ:c6 3. ლc8! ეa3+ 4. მფb4 ეb3+ 5. მფ:c4 ე:b7 6. ლe6× ლამაზი შამათი!

„ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ“ ᲐᲠ ᲗᲛᲝᲑᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲐᲡ

როგორც ვიუწყებოდით, კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური ტურნირის მეექვსე წრის მატჩი მოსკოვის არმიელთა კოლექტივმა წააგო სპლიტში ადგილობრივ „იუგოპლასტიკასთან“. ცსკა ახლა ერთადერთი გუნდია, რომელსაც თასის გათამაშების გადამწყვეტ ეტაპზე არც ერთი შეხვედრა არ აქვს მოგებული (ექვსიდან ექვსი მარცხი).

ტურის სხვა მატჩებში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუმცა ერთი შეხვედრის შედეგი მაინც იმსახურებს ყურადღებას: საბერძნეთის ჩემპიონმა „არისმა“ შინ დაძაბული ბრძოლის შემდეგ აჯობა საფრანგეთის „ლიმოჟს“ — 80:77.

გათამაშების ლიდერმა ესპანეთის „ბარსელონამ“ გასვლით მატჩში დაამარცხა იტალიის „სკავოლინი“ — 90:84.

ისრაელის „მაკაბიმ“ შინ ჰოლანდიის „ნაშუა დენ ბოში“ დაამარცხა — 124:93.

ექვსი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

„ბარსელონა“	6	6	0	12
„მაკაბი“	6	5	1	11
„სკავოლინი“	6	4	2	10
„იუგოპლასტიკა“	6	4	2	10
„არისი“	6	3	3	9
„ლიმოჟი“	6	1	5	7
„ნაშუა დენ ბოში“	6	1	5	7
ცსკა	6	0	6	6

რედაქტორი
თ. ᲑᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

27, 28 და 29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება ტრადიციული XXVIII საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

მონაწილეობენ: გდრ-ის, ბულგარეთის, კუბის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის, ამერიკის, თურქეთის, კანადის, ირანის, გფრ-ის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უძლიერესი ფალავნები.

დასაწყისი 11.00 და 18.00 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

„ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲨᲐᲘᲑᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ)“, ᲛᲔᲔᲮᲣᲗᲔ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (28-29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ)

1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ცსკა	28.I	20	10	70
2. ასკ (ლენინგრადი) — „დინამო“ (რიგა)	28.I	59	30	20
ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲨᲐᲘᲑᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ				
3. „დინამო“ (მინსკი) — ურიცკის სახ. სკ (ყაზანი) მეორე თამაში	28.I	80	10	10
4. „კრისტალი“ (ელექტროსტალი) — „ტორპედო“ (გორკი) მეორე თამაში	28.I	20	10	70
5. „ტორპედო“ (ტოლიატი) — „დინამო“ (ხარკოვი) მეორე თამაში	28.I	20	40	40
6. „სალავათ იულაევი“ (უფა) — „ტორპედო“ (იაროსლავლი) მეორე თამაში	28.I	60	10	30
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲑᲣᲠᲗᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ				
7. ᲕᲔᲕᲪᲘᲐ — ფინეთი	29.I	80	10	10
ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ				
8. „ატალანტა“ (ბერგამო) — „ინტერი“ (მილანი)	29.I	10	40	50
9. „ფიორენტინა“ (ფლორენცია) — „რომა“ (რომი)	29.I	30	60	10
10. „ვერონა“ (ვერონა) — „სამპდორია“ (გენუა)	29.I	30	60	10
11. „ლაციო“ (რომი) — „იუვენტუსი“ (ტურინი)	29.I	20	10	70
ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ				
12. „სევილია“ (სევილია) — „ატლეტიკ“ (ბილბაო)	29.I	60	20	20
13. „ვალენსია“ (ვალენსია) — „სარაგოსა“ (სარაგოსა)	29.I	60	30	10

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲣᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓᲔ!

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგიერთ რაიონში დიდთოვლობის გამო კვლავ შეფერხდა ტრანსპორტის მუშაობა, რის გამოც ვერ მოხერხდა „სპორტლოტოს“ და „სპორტპროგნოზის“ მე-4 ტირაჟის „გვ“ ნაწილების შემოტანა რესპუბლიკურ სამმართველოში — ბათუმიდან, მახარაძიდან, საჩხერიდან, ჩხოროწყუდან და ჭიათურიდან.

სპორტული ლატარიების ჩატარების პირობების თანახმად, აღნიშნული რაიონების და ქალაქების ამ ტირაჟის ბილეთები მონაწილეობას მიიღებენ შემდგომ 05 ტირაჟში.

ᲡᲐᲥᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ

ინდექსი 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდავს ოფსეტური წესით საკავშირო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05706